

ლექცია 6. სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობა და ხელშეკრულებები

თემატიკა:

რა არის უცხოური ვალუტის გაცვლა-გამოცვლა?

უცხოური ვალუტის გაცვლა-გამოცვლის ბაზრის მოთამაშეები

როგორ ხდება უცხოური ვალუტის გაცვლა-გამოცვლის ვაჭრობა

უცხოური ვალუტის გაცვლა-გამოცვლის ბაზრის ზოგიერთი ასპექტი გლობალური OTC უცხოური ვალუტის გაცვლა-გამოცვლის ინსტრუმენტები, უცხოური გაცვლა-გამოცვლის ბაზრის ზომა, შემადგენლობა და ადგილმდებარეობა

უცხოური გაცვლა-გამოცვლის მთავარი ბაზრები ვალუტის სპოტ-ბაზარი, ვალუტის ფორვარდული ბაზარი

უცხოური ვალუტის გაცვლა-გამოცვლის სავაჭრო პროცესი ბანკები და ვალუტის გაცვლა-გამოცვლა, უცხოური ვალუტის გაცვლა-გამოცვლის ვაჭრობის ძირითადი საკითხი

როგორ იყენებენ კომპანიები უცხოური ვალუტის გაცვლა-გამოცვლას ბიზნესის მიზნები (I): იმპორტისა და ექსპორტის ფულადი ნაკადის ცალკეული ასპექტი, ბიზნესის მიზნები (II): სხვა ფინანსური ნაკადები

შესავალი

ფულის ერთი ვალუტიდან მეორეზე გადაყვანა და მისი გადაადგილება მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში არის სერიოზული ბიზნესი, როგორც ინდივიდუალურ ასევე კომპანიის დონეზე. იმისათვის, რომ თავის გადარჩენა შეძლონ, მულტინაციონალური კომპანიები, ისევე როგორც მცირე იმპორტიორი ან ექსპორტიორი ფირმები, კარგად უნდა იცნობდნენ უცხოურ ვალუტებსა და სავალუტო კურსებს. ბიზნესის წარმოების დროს, ფუნდამენტური განსხვავებაა ადგილობრივ ბაზარზე ანგარიშსწორებასა და საზღვარგარეთ გადახდების განხორციელებაში. საშინაო ტრანზაქციების დროს კომპანიები იყენებენ მხოლოდ ერთ ვალუტას. უცხოური ტრანზაქციებისას მათ უწევთ ორი ან მეტი ვალუტის გამოყენება. *მაგალითად ამერიკულმა ფირმამ, რომელიც აწვდის თხილამურებს ფრანგ დისტრიბუტორს, შეიძლება მოითხოვოს ანგარიშსწორება დოლარში, თუ მას არ აქვს ევროს გამოყენების კონკრეტული (მაგალითად ფრანგი მომწოდებლისთვის ანგარიშსწორების) მიზანი.*

რა არის უცხოური ვალუტა?

უცხოური ვალუტა არის სახელდებული ფული, რომელსაც სხვა ქვეყანა ან ქვეყნების ჯგუფი იყენებს. ბაზარი, სადაც ხორციელდება ასეთი ტრანზაქციები არის **უცხოური ვალუტის ბაზარი**. უცხოური ვალუტა შესაძლოა იყოს ნაღდი ფულის სახით, საკრედიტო ან სადებეტო ბარათებზე ხელმისაწვდომი თანხების, სამოგზაური ჩეკების, საბანკო დეპოზიტების, ან სხვა დროებით მოთხოვნის სახით.

სავალუტო კურსი არის ვალუტის ფასი - ვალუტის ერთეულების კონკრეტული ოდენობა, რომლითაც შესაძლებელია ერთი ერთეული სხვა ვალუტის შეძენა. ეს მაჩვენებელი ყოველდღიურად ცვალებადია. 2011 წლის 1 ივნისს 1 ევროს ფასი იყო 1,4340 აშშ დოლარი

(ანუ 1 დოლარით შესაძლებელი იყო 0,6974 ევროს ყიდვა). სავალუტო კურსი იძლევა საერთაშორისო ფასებისა და ღირებულებების შედარების შესაძლებლობას.

მოთამაშეები უცხოურ სავალუტო ბაზარზე


უცხოური სავალუტო ბაზარი შედგება ბევრი სხვადასხვა მოთამაშისგან. საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი (BIS), რომელიც არის ცენტრალური საბანკო დაწესებულება, განთავსებულია ბაზელში, შვეიცარიაში, რომელსაც ფლობს და აკონტროლებს მისი 56 წევრი ცენტრალური ბანკი. იგი ბაზარს სამ ძირითად კატეგორიად ყოფს: ანგარიშვალდებულებული დილერები, სხვა საფინანსო და არასაფინანსო ინსტიტუციები.

ანგარიშვალდებულებული დილერები, ასევე ცნობილი როგორც ფულის ცენტრალური ბანკები (*money center banks*), არიან საფინანსო დაწესებულებები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ადგილობრივ თუ გლობალურ სავალუტო ბაზრებზე. მათი უმეტესობა არის დიდი კომერციული და საინვესტიციო ბანკები და უცხოურ სავალუტო ბაზარზე მთლიანი წილის ფლობის მაჩვენებლის მიხედვით აქ შედის 10 უდიდესი ბანკი და საფინანსო დაწესებულება: Deutsche Bank-ი, Barklay Capital-ი, USB-ი, Citibank-ი, JP Morgan-ი, HSBC-ი, RBS-ი, Credit Suissie, Goldman Sachs-ი და Morgan Stanley. იმ ფულადი ტრანზაქციების გამო, რომლებსაც ეს ფულის ცენტრალური ბანკები ახორციელებენ, მათ აქვთ გავლენა ფასების დადგენაზე, ანუ ქმნიან ამინდს საფინანსო ბაზარზე.

სხვა საფინანსო ინსტიტუციები არის ფინანსური დაწესებულებები, რომლებიც არ კლასიფიცირდებიან, როგორც ანგარიშვალდებულებული დილერები. ასეთებია: შედარებით მცირე კომერციული ბანკები, ფულის ბაზრის, სავალუტო, საერთო ფონდები, სპეციალიზებული უცხოური ვალუტით მოვაჭრე კომპანიები და ა. შ. Western Union-ი, უცხოური ვალუტით მოვაჭრე არასაბანკო-საფინანსო ინსტიტუციის კარგი მაგალითია.

არასაფინანსო მომხმარებელია ყველა, ვინც არ შედის ზემოთ აღწერილ ორ კატეგორიაში, როგორცაა მთავრობა და კომპანიები (ტრანსნაციონალური ფირმები, ასევე მცირე და საშუალო კორპორაციები). როგორც ეს ილუსტრირებულია N1 დიაგრამაზე, ანგარიშვალდებულებული დილერების წილი სავალუტო ბაზრის ტრანზაქციებში შეადგენს 39 %-ს, სხვა საფინანსო ინსტიტუციების - 48 %-ს და არასაფინანსო მომხმარებლის წილი - 13 %.

დიაგრამა N 1. უცხოური სავალუტო ბაზრის სამი ძირითადი კატეგორიის წილი



როგორ ხდება უცხოური ვალუტით ვაჭრობა?

უცხოური ვალუტით ვაჭრობა ხდება ელექტრონული მეთოდებით (41.3%), პირდაპირი მომხმარებლით (24,3 %), ბანკთაშორისი მეთოდით (18,5%), ზეპირი (ხმოვანი) ბროკერებით (15,9). არსებობს სხვადასხვა სახის ელექტრონული მეთოდები. ერთ-ერთი მათგანია ელექტრონული საბროკერო სისტემა, მაგალითად EBS-ი, Reuters-ი და Bloomberg-ი. მორიგი ფორმაა ელექტრონული ვაჭრობის სისტემა, რომელიც ხორციელდება ერთი ბანკის საკუთარი სისტემით ან ბანკთაშორისი სისტემით. ამ ტიპის სისტემის ერთ-ერთი მაგალითია FXConnect-ი, რომელიც თავის მომხმარებელს სავაჭრო და საგადასახადო მომსახურების არჩევანს სთავაზობს. ელექტრონული მეთოდები თანაბრად ნაწილდება სამ კატეგორიაზე: საბროკერო სისტემა, ბანკთაშორისი სავაჭრო სისტემა და ერთი ბანკის სავაჭრო სისტემა. **პირდაპირი მომხმარებლის მეთოდი** გულისხმობს მესამე მხარის ჩარევის გარეშე ვაჭრობას ანგარიშგების დილერს, არაანგარიშგების დილერს და მომხმარებელს შორის. **ბანკთაშორისი მეთოდი** გულისხმობს ვაჭრობას ბანკებს შორის ტელეფონით ან პირდაპირი ელექტრონული მეთოდით. **ზეპირი** არის უცხოური ვალუტის ზეპირ ბროკერებს შორის ვაჭრობა სატელეფონო კომუნიკაციით.

უცხოური სავალუტო ბაზრის ზოგიერთი ასპექტი

უცხოურ სავალუტო ბაზარზე გამოიყოფა ორი ძირითადი სეგმენტი: **არასაბირჟო (OTC)** და **ვალუტით მოვაჭრე ბაზარი**. **არასაბირჟო ბაზარი** შედგება კომერციული, საინვესტიციო ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუციებისგან. **ვალუტით მოვაჭრე ბაზარი** შედგება ფასიანი ქაღალდების ბირჟებისგან, როგორებიცაა CME ჯგუფი (Chicago Mercantile Exchange), NASDAQ-ი OMX-ი და NYSE Liffe, სადაც ხდება გარკვეული ტიპის სავალუტო ინსტრუმენტებით, მაგალითად ფიუჩერსებითა და ოპციებით ვაჭრობა.

გლობალური არასაბირჟო ბაზრის ინსტრუმენტები

ფრაზა **გლობალური არასაბირჟო ბაზრის ინსტრუმენტები** გულისხმობს *სწრაფ ტრანზაქციებს, პირდაპირ სამომავლო ტრანზაქციებს, უცხოური ვალუტის გაცვლებს (FX swap), სავალუტო გაცვლებს, ვალუტის ოპციებს და სხვა უცხოურ სავალუტო პროდუქტებს*. ყველა ჩამოთვლილი ინსტრუმენტით ვაჭრობა ხდება ზემოთ დასახელებულ ბაზარზე. **სპოტ ტრანზაქციები** მოიცავს ვალუტის გაცვლას შეთანხმებული კურსით ორ სამუშაო დღეში. კურსი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება ტრანზაქცია არის **სპოტ კურსი**.

პირდაპირი სამომავლო ტრანზაქციები გულისხმობს ვალუტის გაცვლას სამომავლო თარიღით ორი სამუშაო დღის შემდეგ. ეს სამომავლო მიწოდების ვალუტის შეძენის ან გაყიდვის ერთადერთი გზაა. კურსი, რომლის მიხედვითაც ის ხორციელდება, არის მომავალში მოსალოდნელი კურსი და მხარეებს შორის საკონტრაქტო კურსი. სამომავლო ტრანზაქცია ხორციელდება სამომავლო კურსით, არ აქვს მნიშვნელობა მიმდინარე კურსს.

უცხოური ვალუტის სვოპის (FX swap) შემთხვევაში ერთი ვალუტა გადაიცვლება მეორეში ერთ დღეს და შემდეგ გადმოიცვლება სხვა დღეს. უმეტეს შემთხვევაში FX swap-ს კავშირი აქვს: ერთის მხრივ, სწრაფ და მეორეს მხრივ, სამომავლო ტრანზაქციებთან. მიუხედავად

იმისა, რომ FX სვოპი არის სპოტის და სამომავლო ტრანზაქციების ერთობლიობა, ის მაინც მოიაზრება, როგორც ცალკეული ტრანზაქცია.

სავალუტო სვოპს უმეტესად კავშირი აქვს საპროცენტო საფინანსო ინსტრუმენტებთან (როგორცაა ლომბარდი) და მოიცავს ძირითად და საპროცენტო გადასახადს. Western Union-ი უმეტესად დაკავებულია სწრაფი ტრანზაქციებითა და თანხების ერთი ვალუტიდან მეორეში გადაყვანით.


ოპციები არის უფლება, მაგრამ არა ვალდებულება, რომ ივაჭრონ უცხოური ვალუტებით მომავალში.

ფიუჩერსული (სამომავლო) კონტრაქტი არის ორ მხარეს შორის არსებული შეთანხმება, კონკრეტული ვალუტის ყიდვის ან გაყიდვის თაობაზე, კონკრეტულ ფასად, კონკრეტული სამომავლო თარიღით. ამის გაფორმება ხდება მხარეებს შორის სტანდარტიზებული ხელშეკრულებით და ის არ ითვალისწინებს არასაბირჟო ვაჭრობას.

დიაგრამა N2 ასახავს უცხოური ვალუტის ბრუნვას თითოეული ზემოთ აღწერილი

ინსტრუმენტით (გარდა ვადიანი გარიგებისა, რადგან მისი გამოყენება ხდება ბირჟაზე OTC-ის ნაცვლად). პირდაპირი სამომავლო ტრანზაქცია და უცხოური ვალუტის გაცვლა (FX swap) ინარჩუნებს დომინანტი ინსტრუმენტების სტატუსს, მიუხედავად იმისა, რომ შემოსავლის დიდი ნაწილი 2007-2010 წლებში მოდის სწრაფ ბაზარზე, განსაკუთრებით არასაფინანსო ინსტიტუციებით ვაჭრობაზე.


დიაგრამა N 2. სავალუტო ბაზრები: ბრუნვა ინსტრუმენტების მიხედვით



უცხოური ვალუტის ბაზრის მოცულობა, შემაღენლობა და ადგილმდებარეობა

ვიდრე ბაზრის ინსტრუმენტების უფრო დეტალურ განხილვაზე გადავიდოდეთ, გადავხედოთ მის ზომას, შემაღენლობას და გეოგრაფიულ მდებარეობას. ყოველ სამ წელიწადში საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი (BIS) ატარებს უცხოური ვალუტის მსოფლიო აქტივობებზე კვლევას. როგორც ნაჩვენებია N3 დიაგრამაზე, BIS-ის გამოთვლით უცხოური ვალუტის დღიური ბრუნვა არის 4 ტრილიონი დოლარი. ეს აისახა 2007 წლის შემდეგ დაფიქსირებულ 20 %-იან ზრდაში, რომლის დიდი ნაწილიც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სწრაფ ტრანზაქციებზე მოდის. თუმცა აქტივობების ეს ზრდა გაცილებით ჩამოუვარდება 71 %-იან ვაჭრობის ზრდას, რომელიც 2004-დან 2007 წლამდე დაფიქსირდა.

დიაგრამა N 3. უცხოური ვალუტის ბაზრები: საშუალო ყოველდღიური მოცულობა, 1998-2010 წწ.



სავაჭრო საქმიანობის ზრდის ზოგიერთი მიზეზია უცხოური ვალუტის, როგორც ალტერნატიული აქტივებისა და ჰეჯ-ფონდების (hedge funds) მნიშვნელობის ზრდა. ასე უწოდებენ ფონდებს, რომლებსაც ჩვეულებრივ ის მდიდარი ინდივიდები და დაწესებულებები იყენებენ, რომლებსაც აქვთ საშუალება გამოიყენონ აგრესიული სტრატეგიები, რაც არ არის ხელმისაწვდომი საერთო ფონდებისთვის.

აშშ დოლარის გამოყენება უცხოურ სავალუტო ბაზარზე. აშშ დოლარი ყველაზე მნიშვნელოვანი ვალუტაა უცხოურ სავალუტო ბაზარზე; 2010 წლის მონაცემებით მან მსოფლიოს მასშტაბით მთელი სავალუტო ტრანზაქციების 84,9 % შეადგინა. დოლარის ასე ფართო მოხმარების ხუთი ძირითადი მიზეზი არსებობს:⁷

1. ის არის ბევრი კაპიტალური ბაზრის საინვესტიციო ვალუტა;
2. ის არის სარეზერვო ვალუტა, რომელსაც ინარჩუნებს ბევრი ცენტრალური ბანკი;
3. ის არის ტრანზაქციების ვალუტა ბევრ საერთაშორისო ფართო მოხმარების საქონლის ბაზრებზე;
4. ის არის ბევრი კონტრაქტის საინვოისო ვალუტა;


5. ის არის საინტერვენციო ვალუტა, რომელსაც იყენებს ფინანსური ხელმძღვანელობა საბაზრო ოპერაციების დროს საკუთარ სავალუტო კურსზე გავლენის მოსახდენად.

მისი მზა ხელმისაწვდომობის გამო, აშშ დოლარი არის მნიშვნელოვანი, როგორც ვალუტის სატრანსპორტო საშუალება იმ ორ ქვეყანას შორის არსებული ტრანზაქციების დროს, სადაც არ მონაწილეობს შეერთებული შტატები. მაგალითად, მექსიკურ კომპანიას, რომელიც ყიდულობს პროდუქტს იაპონელი ექსპორტიორისგან, ცვლის მექსიკურ პესოს აშშ დოლარში და აგზავნის იაპონიაში, სადაც ის გადაყავთ იაპონურ იენზე. ასე რომ, დოლარს ტრანზაქციის ორივე მხარეს ერთი ფეხი აქვს მექსიკაში, მეორე იაპონიაში. რატომ? ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ იაპონელმა ექსპორტიორმა შეიძლება ვერსად გამოიყენოს მექსიკური პესო, თუმცა მას შეუძლია გამოიყენოს დოლარი მრავალი მიზნისთვის. ან შესაძლოა მექსიკელ იმპორტიორს შეექმნას იაპონური იენის კარგი კურსით შეძენის პრობლემა, თუ მექსიკურ ბანკებს არ აქვთ ბალანსი იაპონურ იენზე. რადგანაც ყველა ბანკს აქვს დოლარის ბალანსი, ამიტომაც იმპორტიორს დოლარზე მარტივი წვდომა აქვს.

ხშირად გამოყენებადი სავალუტო წყვილები. უცხოური ვალუტით ვაჭრობის საკითხის განხილვისას, მორიგი მნიშვნელოვანი ფაქტორია ხშირად გამოყენებადი სავალუტო წყვილები. 2010 წლის BIS-ის კვლევის მიხედვით, ტოპ შვიდეულის პირველ ორეულში შედის აშშ დოლარი, ევრო/დოლარის 28 %-იანი მაჩვენებლით და დოლარი/იენით. დოლარის ასეთი მნიშვნელობის გამო, სავალუტო კურსს ორ ქვეყანას შორის, სადაც არ იგულისხმება აშშ დოლარი, ჰქვია ჯვარედინი კურსი. მაგალითად, კურსი შვეიცარიის ფრანკსა და ბრაზილიის რეალს შორის იქნება ჯვარედინი კურსი.

მსოფლიო სავალუტო გაცვლების 37 %-ს ახორციელებს გაერთიანებული სამეფო (შეერთებული შტატების 18%-თან შედარებით იხ. დიაგრამა N4). გაერთიანებული სამეფოს პოპულარულობის მნიშვნელოვანი ფაქტორია მისი ადგილმდებარეობა: ლონდონი ახლოსაა ევროპის ყველა კაპიტალის ბაზართან და მისი დროის სარტყელი მოსახერხებელს ხდის ვაჭრობის წარმოებას როგორც აშშ-ს, ასევე აზიის ბაზრებზე.

დიაგრამა N 4. სავალუტო გაცვლების მთლიანი მოცულობის წილი ქვეყნების მიხედვით



დოლარსა და იენს შორის სავაჭრო ურთიერთობები პოლიტიკურად ძალიან მგრძობიარეა, რადგან სავალუტო კურსი ხშირად ხდება იაპონიასა და შეერთებულ შტატებს შორის მოლაპარაკებების ვაჭრობის საგანი. იაპონური იენი მნიშვნელოვანი ვალუტაა აზიაში, იმიტომ რომ მისი ღირებულება აისახება სხვა კონკურეტუნარიანი ქვეყნების პოზიციებზე რეგიონში. ის თავისუფალად იყიდება, განსხვავებით ჩინური იუანისგან, რომელიც კონტროლდება მთავრობის მიერ, მაგრამ მიუხედავად ამისა თანდათან იკავებს რეგიონული და საბოლოოდ გლობალური ვალუტის ადგილს.

ევრო. ევრო სავალუტო წყვილების ტოპ ათეულის პირველ ოთხეულში შედის. მიუხედავად იმისა, რომ დოლარი ბაზარზე ჯერ კიდევ პოპულარულია, ევროც თანდათან იკიდებს ფეხს, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. თუმცა ევროპის გარეთ, როგორც სავაჭრო ვალუტა, ევრო ნელა მზარდია. ასე, რომ რადგან დოლარი მსოფლიოში ყველაზე ფართო გამოყენების სავაჭრო ვალუტაა, შეიძლება გვეგონოს, რომ ყველაზე დიდი სავალუტო ვაჭრობის ბაზარი სწორედ შეერთებულ შტატებშია, თუმცა დღემდე არსებული ყველაზე დიდი ასეთი ბაზარი მდებარეობს გაერთიანებულ სამეფოში. ოთხი უდიდესი ვალუტით მოვაჭრე ცენტრი (გაერთიანებული სამეფო, შეერთებული შტატები, იაპონია და სინგაპური) სრული ყოველდღიური ბრუნვის საშუალო მაჩვენებლის 62,5 %-ს მოიცავს. გაერთიანებული სამეფოს ბაზარი იმდენად დომინირებს, რომ იქ უფრო მეტი დოლარის ბრუნვა ფიქსირდება, ვიდრე ნიუ-იორკში.

მთავარი სავალუტო ბაზრები

სწრაფი ბაზარი

სავალუტო დილერები არიან ისინი, ვინც ადგენენ სავალუტო კურსს. **შესყიდვის კურსი** არის ფასი, რომელიც შეთავაზებულია დილერის მიერ ვალუტის შესაძენად, ხოლო **გასაყიდი კურსი** არის ფასი, რომელიც სასურველია დილერისთვის ვალუტის გაყიდვისას. სწრაფ ბაზარზე **სპრედი** არის სხვაობა **შესყიდვის კურსსა** და **გასაყიდ კურსს** შორის, ისევე როგორც დილერის სარგებლის მაჩვენებელი.

პირდაპირი და ირიბი კოტირება. განვიხილოთ შემთხვევა, თუ როგორ მუშაობს შესასყიდი და გასაყიდი კურსები. ამერიკელი დილერის მიერ ბრიტანულ ფუნტზე დაწესებული კურსია \$1,6339/41, რაც ნიშნავს რომ დილერს სურს იყიდოს ფუნტი 1,6339 დოლარად და გაყიდოს 1,6341 დოლარად, ანუ იყიდოს ნაკლებად და გაყიდოს მეტ ფასად. ამ მაგალითში, დილერი აწესებს უცხოური ვალუტის კურსს აშშ დოლარში. ამ მეთოდს ქვია **პირდაპირი კოტირება**, როცა ქვეყნის ადგილობრივი ვალუტის (ამ შემთხვევაში აშშ დოლარის) გარკვეული რაოდენობა სახელდება ერთი ერთეული უცხოური ვალუტის ფასად. ეს მეთოდი ასევე მოიხსენიება როგორც **ამერიკული პირობები**.

უცხოური ვალუტის კოტირების მეორე მეთოდი არის **ირიბი კოტირება**, უცხოური ვალუტის ერთეულების რაოდენობა ერთი ერთეული ადგილობრივი ვალუტისთვის, რაც

ასევე მოიხსენიება როგორც **ევროპული პირობები**. ცხრილი 9.2-ის მიხედვით, ბრიტანული ფუნტის პირდაპირი ფასია (quote) 1,6339 დოლარი, ხოლო ირიბი 0,6120 ფუნტი.

საბაზისო და პირობითი ვალუტები. როცა დილერები ადგენენ ფასს მათი კლიენტებისთვის, პირველ რიგში ადგენენ **საბაზისო** (მნიშვნელი) **ვალუტის კურსს** და შემდეგ **პირობითი** (მრიცხველი) **ვალუტის კურსს**. ფასი (quote) USD/JPY ($USD/JPY=X$) ნიშნავს, რომ დოლარი არის საბაზისო კუპიურა და იენი არის პირობითი. თუ თქვენთვის ცნობილია დოლარი/ იენის ღირებულება, შეგიძლიათ კურსი გაყოთ ერთზე, რომ მიიღოთ იენი/ დოლარის კურსი.

დოლარი/ იენის კოტირებაში მნიშვნელი არის დოლარი, ხოლო იენი მრიცხველი. სავალუტო კურსის ცვლილებებზე თვალის დევნებით, მენეჯერებს შეუძლიათ განსაზღვრონ საბაზისო ვალუტა ძლიერდება თუ სუსტდება. მაგალითად, 2010 წლის 1 იენისს, დოლარი/ იენის კურსი იყო 90,93 იენი/1,00 დოლარი, 2011 წლის 1 იენისს იყო 80,91 იენი/ 1,00 დოლარი. როცა ნუმერატორი ეცემა საბაზისო ვალუტა (დოლარი) სუსტდება ანუ ეცემა ფასი, ამის საწინააღმდეგოდ, პირობითი ვალუტა ძლიერდება ანუ ძვირდება დოლარის გადმოსახედიდან.

სავალუტო კურსის კოტირების გაგების ბევრი საშუალება არსებობს, ონლაინ და ბეჭდური მედიის ჩათვლით. გამომდინარე იქიდან, რომ ვალუტათა უმრავლესობის ფასი გამუდმებით ცვალებადია, ბევრი მენეჯერი ამოწმებს ღირებულებებს ყოველდღიურად. მაგალითად, *The Wall Street Journal*-ი აქვეყნებს კვოტებს ამერიკული პირობებით (აშშ დოლარის ეკვივალენტი) და ევროპული პირობებით (ვალუტა ერთ აშშ დოლარზე). ყველა კვოტა, გარდა ისეთებისა, რომლებიც შემჩნეულია ერთთვიან, სამთვიან ან ექვსთვიან გზავნილებში, არის სწრაფი კვოტები.

ბანკთაშორისი ტრანზაქციები. სწრაფი კურსი, მოწოდებული *The Wall Street Journal*-ის მიერ, არის გასაყიდი კურსი ერთი მილიონი დოლარის და მეტი ბანკთაშორისი ტრანზაქციების დროს. საცალო ტრანზაქციები - ისინი, რომლებიც ბანკებს, კომპანიებს ან ინდივიდებს შორის ხოციელდება - იძლევა ნაკლებ უცხოური ვალუტის ერთეულს ერთ დოლარში ვიდრე ბანკთაშორისი ტრანზაქციები. მსგავსი კოტირებები შეგიძლიათ იხილოთ სხვა ბიზნესგამომცემლობებსა და ონლაინში. თუმცა ეს არის უბრალოდ მიმსგავსებული, ზუსტი ღირებულებები (quotes) ხელმისაწვდომია დილერებისგან.

ვადიანი გარიგებების ბაზარი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწრაფი ბაზარი არის სავალუტო ტრანზაქციები, რომლებიც ხორციელდება ორი სამუშაო დღის განმავლობაში, მაგრამ ზოგიერთი ტრანზაქციის დროს, გამყიდველი ამაზე მეტ ხანს უხანგრძლივებს მყიდველს კრედიტს. მაგალითად, იაპონელმა ელექტრო ტექნიკის ექსპორტიორმა შესაძლოა მიყიდოს ტელევიზორები აშშ იმპორტიორს დაუყოვნებლივი მიტანის, მაგრამ ანაზღაურების 30 დღიანი ვადის პირობებით. აშშ-ს

იმპორტიორი ვალდებულია გადაიხადოს იენში 30 დღეში და შესაძლოა გაურიგდეს სავალუტო დილერს, რომ მიაწოდოს მას იენი ვადიანი გარიგების კურსით (კურსი, რომელიც დგინდება დღეს სამომავლო მიწოდებისთვის).

გარდა სწრაფი კურსისა, არსებობს ვადიანი გარიგებების ბაზარზე სადაც ყველაზე ფართოდ გამოყენებადი ვალუტებია ბრიტანული ფუნტი, კანადური დოლარი, იაპონური იენი და შვეიცარიული ფრანკი. თუმცა ვადიანი გარიგებები ხელმისაწვდომია დილერებისთვის ბევრ სხვა ვალუტაშიც. ელექტრონული სერვისები, როგორცაა Blumberg-ი, აწვდიან დილერებს ვადიანი გარიგებების კურსს სხვადასხვა ვალუტების მიმართ, მომავალში გადახდის სხვადასხვა დროისათვის. რაც უფრო ეგზოტიკურია ვალუტა, მით უფრო რთულია მისი სამომავლო კურსის დადგენა, განსაკუთრებით რაც უფრო შორეულ მომავალზეა საუბარი, და მით უფრო მეტია განსხვავების ალბათობა სწრაფ კურსსა და ვადიანი გარიგების კურსს შორის.

ვადიანი გარიგების ფასდაკლებები და პრემიები. გამომდინარე იქიდან, რაზეც უკვე ვისაუბრეთ, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ განსხვავება სწრაფ და ვადიან კურსებს შორის შეიძლება იყოს ვადიანი გარიგების ფასდაკლება ან ვადიანი გარიგების პრემია. მარტივი გზა განსხვავების დასადგენად ვადიან და სპოტ კურსებს შორის ამერიკული კომპანიებისთვის არის ვალუტის ღირებულების (quotes) ამერიკული პირობებით გამოყენება. თუ ვადიანი გარიგების კურსი უცხოური ვალუტისთვის ნაკლებია ვიდრე სპოტ კურსი, მაშინ ვალუტა იყიდება ვადიანი გარიგების ფასდაკლებით. თუ ვადიანი გარიგების კურსი აღემატება სწრაფ კურსს, მაშინ ვალუტა იყიდება ვადიანი გარიგების პრემიით.

ოპციები

ოპცია არის *უფლება*, და არა *ვალდებულება*, უცხოური ვალუტის ყიდვის ან გაყიდვის კონკრეტულ ვადებში ან დათქმული თარიღით სპეციალურად განსაზღვრული სავალუტო კურსით. ვაჭრობა შეიძლება მოხდეს არასაბირჟოდ – კომერციული ან საინვესტიციო ბანკებით ან ბირჟაზე. ოპციის ვადის გასვლის ბოლო დღეს კომპანია მიმდინარე სპოტ კურსს შესრულების (strike) ფასს ადარებს, რომ დაადგინოს რომელია უკეთესი სავალუტო კურსი. ოპცია კომპანიას ანიჭებს მოქნილობას, იმიტომ, რომ კომპანიას შეუძლია უარი თქვას ოპციაზე თუ შესრულების (strike) ფასი არ არის მისთვის მისაღები ფასი. ვადიანი გარიგების შემთხვევაში კურსი ჩვეულებრივ ნაკლებია ვიდრე ოპციის კურსი, მაგრამ უარის თქმა გარიგებაზე კომპანიას არ შეუძლია. ასე, რომ ვადიანი გარიგება უფრო იაფი, მაგრამ ნაკლებად მოქნილია ვიდრე ოპცია.

ფიუჩერსული კონტრაქტი

უცხოური ვალუტის ფიუჩერსული კონტრაქტი ვადიანი გარიგების მსგავსია იმდენად, რამდენადაც ის ადგენს სავალუტო კურსს გარკვეული დროით წინასწარ მიმდინარე სავალუტო კურსზე. თუმცა ფიუჩერსული კონტრაქტი გამოიყენება მხოლოდ ბირჟაზე და არა არასაბირჟოდ. ბანკთან ან სხვა საფინანსო ინსტიტუციასთან მუშაობის ნაცვლად, კომპანიები

მუშაობენ ბირჟის ბროკერებთან, როდესაც ხდება ფიუჩერსული კონტრაქტით ვაჭრობა. ვადიანი გარიგება მორგებულია კომპანიისთვის სასურველ თანხისა და დროის ჩარჩოებს მაშინ, როდესაც ფიუჩერსული კონტრაქტის შემთხვევაში განსაზღვრულია კონკრეტული თანხები და განსაზღვრული ვადა. ის ნაკლებად ღირებულია კომპანიისთვის ვიდრე ვადიანი გარიგება. თუმცა ის სასარგებლო შეიძლება იყოს ბირჟის ბროკერებისა და მცირე კომპანიებისთვის.

უცხოური ვალუტით ვაჭრობის პროცესი

როცა ერთი კომპანია ყიდის საქონელს ან სერვისს სხვა ქვეყნის კომპანიაზე და იღებს თანხას უცხოურ ვალუტაში, მას სჭირდება ამ ვალუტის ადგილობრივით შეცვლა. იმპორტირების დროს, კომპანიას სჭირდება ადგილობრივი ვალუტის უცხოურით შეცვლა, იმისათვის რომ გადაუხადოს მომწოდებელს. ეს ოპერაცია ჩვეულებრივ ხორციელდება კომპანიასა და მის ბანკს შორის.

თავდაპირველად, კომერციული ბანკები სთავაზობდნენ მომხმარებელს უცხოური ვალუტის სერვისს. საბოლოოდ, ზოგიერთმა კომერციულმა ბანკმა და აშშ-ს სხვა ფულადმა ცენტრებმა, როგორებიცაა ჩიკაგო და სან ფრანცისკო, დაიწყეს უცხოური ვალუტით ვაჭრობა, როგორც ბიზნესსაქმიანობა და არა როგორც უბრალოდ სერვისი. ისინი გახდნენ შუამავლები უფრო მცირე ბანკებისთვის მათთან სათანადო ურთიერთობების დამყარებით. ისინი უცხოურ ბაზარზე მთავარი დილერებიც გახდნენ.

გამოსახულება N1-ის მარცხენა ნაწილში ჩანს თუ რა ხდება, როცა აშშ-ს კომპანია A-ს სჭირდება ევროს დოლარზე გაყიდვა. ეს სიტუაცია შეიძლება შეიქმნას, მაშინ, როცა კომპანია A ანაზღაურებას გერმანელი იმპორტიორისგან ევროში მიიღებს. გამოსახულების მარჯვენა მხარე ასახავს თუ რა ხდება, როცა კომპანია A-ს სჭირდება ევროს შექმნა დოლარით. ეს სიტუაცია შეიძლება შეიქმნას, როცა კომპანია A-ს სჭირდება გადაუხადოს გერმანელ მომწოდებელს ევროში.

ორივე შემთხვევაში კომპანია მიმართავს თავის ბანკს ვალუტის შესაცვლელად. თუ ეს არის დიდი ტრანსნაციონალური კომპანია, რომელიც Global Fortune 500-ის რეიტინგშია, მაშინ ის უშუალოდ ფულის ბანკს მიმართავს (როგორც ნაჩვენებია ზედა ისრით გამოსახულებაზე). ზოგადად, გამომდინარე იქიდან, რომ ამ ტრანსნაციონალურ კომპანიას უკვე აქვს ძლიერი საბანკო ურთიერთობები ამ ფინანსებზე ორიენტირებულ ბანკთან (ან რამდენიმე ასეთთან), ბანკის მიერ თავისი კლიენტებისთვის შეთავაზებული სერვისებიდან ვალუტით ვაჭრობა ერთ-ერთია. Fortune 500-ის რეიტინგზე უფრო დაბალ დონეზე მყოფი კომპანიები ოპერირებენ სხვა საფინანსო ინსტიტუციების მეშვეობით, როგორებიცაა ადგილობრივი ან რეგიონალური ბანკები ან სხვა საბანკო ინსტიტუციები, რომლებსაც შეუძლიათ უცხოური ვალუტით ვაჭრობა გაამარტივონ. ასეთ შემთხვევაში ვაჭრობის განსახორციელებლად A და B ფინანსური ინსტიტუცია კვლავ ფულის ცენტრალური ბანკის მეშვეობით ოპერირებენ, რადგანაც ისინი საკმაოდ მცირე ზომის არიან იმისთვის, რომ

ვაჭრობა თავისით წარმართონ. ჩვეულებრივ მათ აქვთ სათანადო ურთიერთობები ფულის ცენტრალურ ბანკებთან, რათა მისცენ მათ სავაჭრო ოპერაციების უფლება.


წარმოვიდგინოთ, რომ ამერიკულმა კომპანია B-მ უნდა მიიღოს ევროები მომავალში. რადგანაც ის ვერ ისარგებლებს სპოტ ბაზრით, ვიდრე არ მიიღებს ევროს, მას შეუძლია მიმართოს ვადიანი, სვოპ, ოპციური ან ფიუჩერსული კონტრაქტებს, რომ დაიცვას თავი ვიდრე მოხდება ვალუტის უშუალო მიღება. საფინანსო ინსტიტუცია B-ს შეუძლია მოემსახუროს კომპანია B-ს ვადიანი, სვოპ ან ოპციური გარიგებით. თუმცა კომპანია B-ს ასევე შეუძლია ისარგებლოს ოპციური ან ფიუჩერსული კონტრაქტით ერთ-ერთ ბირჟაზეც, როგორცაა CME Group-ი. იგივე სიტუაციაში იქნება კომპანია A, რომელსაც ევრო სამომავლოდ დასჭირდება.

ჩავთვალოთ, რომ თქვენ ხართ ამერიკული კომპანია A, რომელმაც მიიღო ევრო საქონლის საფასურად, და რომ თქვენ გინდათ გაყიდოთ ევრო დოლარად. ამისათვის თქვენ შეიძლება მიმართოთ ადგილობრივ ბანკს ან წახვიდეთ პირდაპირ ფინანსებზე ორიენტირებულ ბანკში.

ერთის მხრივ, თუ თქვენ ხართ ამერიკული კომპანია B და თქვენ ელით სამომავლო ანაზღაურების მიღებას, სავალუტო კურსის ცვლილებებისგან თავის დასაზღვევად, თქვენ გასურთ იყიდოთ ევრო, რომელსაც საბოლოოდ ისევ გადაცვლით დოლარში. შეგიძლიათ აირჩიოთ ვადიანი ან გაცვლითი სერვისი და თქვენი ქმედებები იქნება კომპანია A-ს ქმედებების სარკისებური ასახვა.

და ბოლოს, ორივე კომპანიას შეუძლია აირჩიოს ისეთი საშუალებები, როგორც ოპცია ან ფიუჩერსული კონტრაქტია, რომლის დროსაც ვაჭრობა შეიძლება განხორციელდეს ოპციით ან/და ფიუჩერსული კონტრაქტით, პირდაპირ ან ბროკერის გზით.

გამოსახულება N1. უცხოური ვალუტით ვაჭრობის პროცესი



ბანკები და ბირჟები

იყო დრო, როცა მხოლოდ მსხვილ ბანკებს შეეძლოთ დაკავებულიყვნენ უცხოური ვალუტის ოპერაციებით. რეგიონალურ ბანკებს ვაჭრობის განხორციელების პროცესში, უწევდათ მათზე დაყრდნობა მათი კლიენტების ხარჯზე. ეს მდგომარეობა შეცვალა ელექტრონული ვაჭრობის გამოჩენამ. დღეისათვის რეგიონალურ ბანკებსაც კი შეუძლიათ იურთიერთონ Bloomberg-თან, Reuters-თან ან EBS-თან და საქმე აწარმოონ პირდაპირ ბანკთაშორის ბაზარზე ან ბროკერებთან. მიუხედავად ამისა ვალუტით ვაჭრობის ყველაზე დიდი მოცულობა ფულის ცენტრალურ ბანკებზე მოდის. წვდომისა და მოცულობის გამო, ისინი არიან ერთადერთი ინსტიტუტები, ვინც ადგენს ფასებს უცხოური ვალუტით ვაჭრობის გლობალურ პროცესებში.

უცხოური ვალუტის ტოპ-დილერები. უფრო მეტი შეიძლება ითქვას უცხოური ვალუტის ბაზრის კლიენტთა მომსახურების სერვისებზე, ვიდრე მის ზომაზე. ყოველწლიურად ჟურნალი „Euromoney“ ატარებს ბანკირების, მოვაჭრეებისა და ინვესტორების გამოკითხვას მთელ მსოფლიოში, რომ დაასახელონ მათი ფავორიტი ბანკები და ბანკთაშორისი ბაზარის წამყვანი დილერები. ტრანზაქციების მოცულობისა და მომსახურების ხარისხის გარდა, უცხოური ვალუტის ტოპ დილერების გამოვლენის მიზნით გამოიყენება შეფასების კრიტერიუმები:

- ბანკების რანგებად დაყოფა კორპორაციების და სხვა სპეციფიურ ლოკაციებზე მდებარე ბანკების მიერ, მაგალითად ლონდონში, სინგაპურში ან ნიუ-იორკში;
- მნიშვნელოვანი ვალუტებით ვაჭრობის შესაძლებლობას, ისეთებით როგორებიცაა: აშშ დოლარი და ევრო.
- ძირითადი ჯვარედინი სავაჭრო ოპერაციების შესაძლებლობა, მაგალითად, ევროსა და ფუნტს შორის ან ევროსა და იენს შორის.
- სპეციფიური ვალუტებით ვაჭრობის შესაძლებლობა;
- **დერივატივების** შესაძლებლობა (ვადიანი, სვოპები, ფიუჩერსული და ოპციური კონტრაქტები);
- კვლევისა და ანალიზის შესაძლებლობები.

ამ განმასხვავებელი კრიტერიუმების მიხედვით, დიდმა კომპანიებმა შეიძლება ისარგებლონ რამდენიმე ბანკის სავალუტო მომსახურებით, შეარჩიონ ისეთები, რომლებიც სპეციალიზდება კონკრეტულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე, ინსტრუმენტებზე ან ვალუტებზე. წარსულში, მაგალითად, AT&T-ი სარგებლობდა Citibank-ით, რადგანაც იგი ფართო გეოგრაფიული არეალს და მრავალფეროვან ვალუტების მოიცავდა, მაგრამ ამავე დროს სარგებლობდა Deutsche Bank-ით ევროსთვის, Swiss Bank Corporation-ით შვეიცარიული ფრანკისთვის, NatWest Bank-ით ბრიტანული ფუნტისთვის და Goldman Sachs-ით დერივატივებისთვის.

ცხრილი N1 გამოყოფს მსოფლიოს ტოპ ბანკებს უცხოური ვალუტით ვაჭრობის სფეროში. ისინი არიან მთავარი მოთამაშეები არასაბირჟო ბაზარზე და მათ შემადგენლობაში შედის კომერციული ბანკებიც (როგორებიცაა Deutsche Bank-ი და Citibank-ი) ისევე, როგორც საინვესტიციო ბანკები (მაგალითად, UBS-ი, Union bank of Switzerland-ის ლონდონის განყოფილება და შვეიცარიის ბანკის კორპორაცია). თუ ვინმეს უცხოური ვალუტით სავაჭროდ საუკეთესო ბანკის მოძიება სურს, მას დააინტერესებს უცხოური ვალუტის საერთო საბაზრო წილი; ბანკების ეს ტოპ-ათეული თითქმის ყოველთვის მოწოდების სიმძლავრეა ყველა კატეგორიაში. ასევე საინტერესოა იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ მსოფლიო მასშტაბით საბანკო ინდუსტრიის კონსოლიდაციამ გამოიწვია გაზრდილი კონცენტრაცია უცხოური ვალუტით სავაჭრო პროცესებზე. მაგალითად, 1998 წელს 177 ბანკი იყო პასუხისმგებელი უცხოური ვალუტის მსოფლიო ბრუნვის 75 %-ზე, თუმცა ამ მაჩვენებელმა მხოლოდ 93 ბანკამდე დაიკლო 2010 წელს. შეერთებულ შტატებში ეს რიცხვი 20-დან 7-მდე ჩამოვიდა და შეერთებულ შტატებში 24-დან 9-მდე.

ცხრილი N 1. უცხოური ვალუტით მოვაჭრეები: ტოპ კომერციული და საინვესტიციო ბანკები, დაჯგუფებული საერთო საბაზრო წილის მიხედვით.

მოვაჭრე ბანკი	განს აზღვევ ული საბაზრო წილი%	საბაზრო წილი დასავლეთ ევროპაში	საბაზრო წილი ჩრდილოეთ ამერიკაში	საბაზრო წილი აზიაში	საბაზრო წილი ავსტრალიაში
1. Deutsche Bank	15.64%	13.86%	14,95%	20,90%	26.26%
2. Barclays Capital	10.75 %	10.30 %	11.81 %	10.79%	9.91%
3. UBS	10.59%	13.60%	9.32%	6.29%	7.17%
4. Citi	8.88%	7.43%	10.66%	10.18%	9.47%
5. JPMorgan	6.43%	5.36%	8.19%	5.38%	6.25%
6. HSBS	6.26%	6.96%	_____	9.31%	4.12%
7. RBS	6.20%	6.90%	6.31%	5.87%	5.56%
8. Credit Sussie	4.80%	7.06%	_____	_____	_____
9. Goldman Sachs	4.13%	3.07%	5.89%	_____	5.74%
10. Morgan Stanley	3.64%	3.00%	6.75%	_____	_____

საბაზრო წილის დაანგარიშების წყარო: „FX Poll 2011: საერთო საბაზრო წილი”. Euromoney (2011, მაისი), რეგიონალური საბაზრო წილების წყარო: FX Poll 2011: საერთო საბაზრო წილი”. Euromoney (2011, მაისი).

უცხოური ვალუტით მოვაჭრე ტოპ ბირჟები

უცხოური ვალუტის ინსტრუმენტები, უმეტესად ოპციები და სასწრაფო გარიგებები, არასაბირჟო ბაზრის გარდა გვხვდება სასაქონლო ბირჟებზეც. სამ ყველაზე ცნობილ ბირჟას წარმოადგენს **Chicago Mercantile Exchange (CME) Group, NASDAQ OMX** და **NYSE Liffe**.

CME Group. CME Group დაარსდა 2007 წლის 9 ივლისს Chicago Mercantile Exchange და Chicago Board of Trade-ის გაერთიანების შედეგად. CME ოპერირებს ე.წ პირდაპირი წამოძახილებით: მოვაჭრეები დგანან პიტზე და ხმამაღლა ასახელებენ ფასებს და რაოდენობებს. პლატფორმა ასევე დაკავშირებულია ელექტრონულ პლატფორმასთან, რომლის პოპულარობაც უფრო და უფრო იზრდება. CME Group ვაჭრობს ბევრი სხვადასხვა საქონლით, უცხოური ვალუტის მხრივ ის ვაჭრობს 54 ფიუჩერსული და 31 ოპციური კონტრაქტით, 100 მილიარდი დოლარის საერთო ყოველდღიური ლიკვიდურობით. ფიუჩერსული და ოპციური კონტრაქტები ფუნქციონირებს როგორც G10-ზე, ასევე დანარჩენ დამწყებ საბაზრო ვალუტებზეც. კონტრაქტები სხვა მრავალი ვალუტის საწინააღმდეგოდ ხელსაყრელია დოლარისთვის ისევე, როგორც ჯვარედინი ვაჭრობა, მაგალითად ევრო ავსტრალიური დოლარის წინააღმდეგ.

2005 წელს CME Reuters-თან შეთანხმდა, მომხდარიყო მათი ფიუჩერსული კონტრაქტების კოტირება, რაც გაზრდიდა ამ უკანასკნელის ვაჭრობის წვდომას ფიუჩერსულ კონტრაქტებზე. 2007 წელს CME და Reuters-ი ხელახლა გაერთიანდნენ და შექმნეს მსოფლიოში პირველი ცენტრალური, აშკარად გლობალური, უცხოური ვალუტით მოვაჭრე პლატფორმა, *FXMarketSpace-ი*. ამ მოდელის მთავარი იდეა იყო ცენტრალური გლობალური პლატფორმის დაარსება, რომელიც მომხმარებელს უცხოური ვალუტით ანონიმურად ვაჭრობის საშუალებას მისცემდა. ახალი კომერციული საწარმო მიმართული იყო ჰეჯირებული ფონდებისკენ, რომლებიც უცხოური ვალუტით ვაჭრობისთვის იყენებენ კომპიუტერულად მართვად სავაჭრო მოდელს. CME იყენებს ორ ელექტრონული ვაჭრობის პლატფორმას სხვადასხვა სასაქონლო ვაჭრობისთვის, ვალუტის ჩათვლით: CME Globex-ი და CME Clearport-ი. ეს საკვანძო ტექნოლოგიაა მსოფლიო მასშტაბით ვაჭრობაზე წვდომის მოსაპოვებლად და მის გასაფართოვებლად.

NASDAQ OMX-ი 2008 წლამდე იყო უცხოური ვალუტით სავაჭრო ოპციების პიონერი ფილადელფიის სავალუტო ბირჟა. 2008 წლის ივლისში PHLX-ი შეუერთდა NASDAQ OMX-ს და შეიქმნა მესამე უდიდესი ოპციების ბაზარი შეერთებულ შტატებში. მათ ასევე დანერგეს ახალი ჰიბრიდული ბაზარი, რომელიც მოიცავს როგორც ტრადიციულ ბირჟას ასევე ონლაინ ვაჭრობას. PHLX-ი სთავაზობდა ოპციებს ავსტრალიურ დოლარში, ბრიტანულ ფუნტში, კანადურ დოლარში, ევროში, იაპონურ იენში და შვეიცარიულ ფრანკში. ფიუჩერსული კონტრაქტების - ბრიტანულ ფუნტსა და ევროში. ახლა ამ აქტივობებს მოიცავს NASDAQ OMX-ი.

NYSE Liffe NYSE Liffe-ის ფიუჩერსული და ოპციური კონტრაქტები არის NYSE Euronext Group-ის გლობალური დერივატივები. ისტორიულიად, ლონდონის საერთაშორისო ფინანსური სასწრაფო და ოპციური გარიგებების ბირჟა (LIFFE) 1992 წელს დაარსდა და ვაჭრობდა სასწრაფო და ოპციური გარიგებების მრავალფეროვანი არჩევანით. საბოლოოდ,

2002 წელს ის Euronext-მა შეისყიდა, შემდეგ პარიზში დაფუძნებულმა ევროპის სავალუტო ბირჟამ ევროპის სხვა ქვეყნების სუბსიდიებით. 2003 წლიდან ელექტრონული პლატფორმა, სადაც ვაჭრობა ხდებოდა მის წევრ ბირჟებს შორის, ცნობილი იყო სახელით LIFFE CONNECT-ი. 2007 წელს Euronext-ი შეუერთდა ნიუ-იორკის სავალუტო ბირჟას და ჩამოყალიბდა NYSE Euronext-ი. NYSE Euronext-ის საერთაშორისო ბიზნესდერივატივები დღესდღეობით იმართება NYSE Liffe-ის მიერ, LIFFE CONNECT-ის გამოყენების პლატფორმა დაინერგა უფრო ადრე ვიდრე მოხდებოდა NYSE-სა და Euronext-ის გაერთიანება. დოლარი/ევროსა და ევრო/დოლარით ვაჭრობა ხდება LIFFE CONNECT-ით.

როგორ იყენებენ კომპანიები უცხოურ ვალუტას

კომპანიები მიმართავენ სავალუტო ბაზარს იმისათვის, რომ განახორციელონ ჩვეულებრივი ბიზნესტრანზაქციები ან/და დააკვირდნენ პროცესებს. მათი სახაზინო დეპარტამენტი არის პასუხისმგებელი სავაჭრო-სავალუტო პოლიტიკის გატარებასა და საბანკო ურთიერთობების მართვაზე, რათა შედგეს ვაჭრობა. ბიზნესთავლსაზრისით, კომპანიები პირველ რიგში ვაჭრობენ უცხოური ვალუტით, რის შემდეგაც ხორციელდება იმპორტი ან ექსპორტი, ანუ საქონლის ან სერვისის ყიდვა-გაყიდვა. მაგალითად, როცა Boeing-ი ყიდის ახალ კომერციულ თვითმფრინავ 787 Dreamliner-ს LAN-ზე (სამხრეთ ამერიკის უდიდეს ავიახაზებზე), ის უნდა ერკვეოდეს ვალუტაში, რომელშიც ის მიიღებს ანაზღაურებას და იმაში, თუ როგორ გადაუხდიან მას ამ თანხას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ანგარიშსწორების ვალუტად, სავარაუდოდ, გამოყენებული იქნება დოლარი. ასე რომ Boeing-ს არ მოუწევს თავის შეწუხება სავალუტო ბაზართან დაკავშირებული საკითხებით თუმცა ვალუტაზე ზრუნვა მოუწევს LAN-ს იმაზე, თუ სად იშოვოს დოლარი და რა სახით გადაუხადოს Boeing-ს თანხა.

ბიზნესმიზნები (1): იმპორტსა და ექსპორტში ნაღდი ფულის დინების ასპექტები

როცა კომპანიამ უნდა გადაიხადოს თანხა შეძენილ პროდუქტში, ან მიიღოს მის მიერ გაყიდული საქონლის ანაზღაურება, ხელშეკრულების მიხედვით, მას აქვს არჩევანი, თუ რომელი ვალუტით მოხდება ანგარიშსწორება და რა დონის დაცულობას მოითხოვს ის. მაგალითად, თუ Boeing-ი მოითხოვს მაქსიმალურ დაცულობას, მან შეიძლება მოითხოვოს Dreamliner-ს საფასურის მიღება LAN-ისგან მანამ, ვიდრე თვითმფრინავი გადავა ამ კომპანიის მფლობელობაში. ეს არ არის ძალიან პრაქტიკული შემთხვევის მაგალითი, მაგრამ ასეთი რამ შეიძლება მოხდეს, თუ გამყიდველი სრულად ფლობს კონტროლს ტრანზაქციაზე. უფრო ხშირია კომერციული თამასუქებით და აკრედიტივებით სარგებლობა.

კომერციული თამასუქები. ფიზიკურმა პირმა ან კომპანიამ, რომელიც ახორციელებს რაიმეს საფასურის ადგილობრივ გადახდას, შესაძლოა გამოიყენოს ნაღდი ანგარიშსწორება, ქვითრის/ჩეკის (check) საფუძველზე, რომელიც ხშირად იგზავნება ელექტრონულად. ქვითარი/ჩეკი ხშირად მოიხსენიება როგორც **დრაფტი** ან **კომერციული თამასუქი**. ჩეკი/დრაფტი არის ინსტრუმენტი, რომლითაც ხელშეკრულების შემდგენი მხარე (*ტრასანტი*)

მიმართავს მეორეს (*ტრასატს*), რომ შესრულდეს გადახდა. ტრასატი შეიძლება იყოს კომპანია ან ბანკი. დღესდღეობით დრაფტში საბანკო ჩეკი/დრაფტი იგულისხმება.

დოკუმენტალური ქვითრები და დოკუმენტალური კრედიტის წერილები ხშირად ემსახურება როგორც გამყიდველ, ასევე მყიდველ მხარეს. ისინი მოითხოვენ გადახდას დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე, მასზე მითითებული საკუთრების უფლებით და ტოვებენ აუდიტორულ კვალს ტრანზაქციის დროს მხარეთა იდენტიფიცირებისთვის. თუ ექსპორტიორი მოითხოვს დაუყოვნებლივ ანგარიშსწორებას მაშინ ჩეკს ჰქვია **წარმდგენის ჩეკი/დრაფტი**; თუ ანგარიშსწორება ხდება მოგვიანებით, დავუშვათ 30 დღის ვადაში თამასუქის სახელია **ვადიანი ჩეკი/დრაფტი**.

აკრედიტივები კომერციული თამასუქის შემთხვევაში ყოველთვის დასაშვებია, რომ იმპორტიორმა გადახდა ვერ შეძლოს ექსპორტიორისთვის დათქმულ დროს. ამის საწინააღმდეგოდ, **აკრედიტივი (L/C) /letter of credit/** ავალდებულებს მყიდველის ბანკს იმპორტიორ ქვეყანაში, გადაიხადოს მისთვის ქვითრის საფუძველზე წარდგენილი თანხა, რომელსაც ახლავს საჭირო წერილობითი დოკუმენტები. რა თქმა უნდა, ექსპორტიორი ამ შევთხვევაშიც უნდა დარწმუნდეს, რომ საბანკო კრედიტი არის ვარგისიანი, რადგანაც L/C შესაძლოა გაყალბებული იყოს „არარსებული ბანკის“ მიერ. გაძლიერებული საბანკო დაცულობის შემთხვევაშიც კი, ექსპორტიორი მაინც დამოკიდებულია იმპორტიორის კრედიტზე, ტრანზაქციის დროს დასაშვები შეუსაბამობების გამოვლინების გამო. L/C -თვის შეიძლება დაწესდეს ხელშეკრულებაში მონაწილე ერთ-ერთი მხარის ვალუტა. თუ ეს იქნება იმპორტიორის ვალუტა, მაშინ ექსპორტიორს მოუწევს მისი გადაყვანა საკუთარ ვალუტაში კომერციული ბანკის მეშვეობით.

მიუხედავად იმისა, რომ აკრედიტივი უფრო უსაფრთხოა, ვიდრე დოკუმენტალური თამასუქი, მაინც არსებობს გარკვეული რისკები. იმისათვის, რომ L/C ჩაითვალოს ვარგისად, დოკუმენტში აღწერილი ყველა პირობა შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს. მაგალითად, თუ L/C აფიქსირებს, რომ საქონელი იქნება ტრანსპორტირებული 5 შეკვრად, ის ვერ ჩაითვლება ვარგისად თუ აღნიშნული საქონლის ტრანსპორტირება მოხდება 4 ან 6 შეკვრად. მნიშვნელოვანია დოკუმენტის პირობების სრულყოფილად გაგება, ისევე როგორც შემხვედრი მხარისგან მოსალოდნელი რისკების გაანალიზება. მიუხედავად იმისა, რომ ყალბი L/C წარმოადგენს აშკარა საფრთხეს, გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა გამოავლინა ხელშეკრულების შემხვედრი მხარისგან გამოწვეული რისკები, როცა ბანკებს არ ჰქონდათ საკმარისი კაპიტალი მათ გადასაფარად. 2008 წლამდე ეს რისკები არ იყო ასეთი საყურადღებო, შემდეგ ბიზნესს შეერყა ნდობა ბანკების მიმართ, გაჩნდა ეჭვი, რომ ბანკები ვერ შეძლებდნენ მათ უზრუნველყოფას L/C-ით. თანაც, აკრედიტივი არის შეუცვლელი, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი არც გაუქმება და არც შეცვლა არ არის შესაძლებელი ტრანზაქციის ყველა მხარის თანხმობის გარეშე.

აკრედიტივის დადასტურება. აკრედიტივი დამატებით შეიძლება მოიცავდეს ბანკის დადასტურებას ზემოთ ნახსენები მხარეებისთვის. **დადასტურებული აკრედიტივით** ექსპორტიორს აქვს ბანკის დამატებითი გარანტია. იშვიათია შემთხვევა, როცა ექსპორტიორი

ამყარებს დამადასტურებელ ურთიერთობას. ძირითადად აკრედიტივის გამცემი ბანკი ცდილობს დაადასტუროს აკრედიტივი ისეთი ბანკით, რომელთანაც მას უკვე აქვს ურთიერთობა. შეუცვლელი L/C-ს შემთხვევაში, მისი ვერც ერთი პირობა ვერ შეიცვლება თუ ამაზე ოთხივე მხარე წინასწარ არ არის შეთანხმებული.

ბიზნესმიზნები (2): სხვა ფინანსური ნაკადები

კომპანიებს სხვა მიზეზებითაც შეიძლება მოუხდეთ უხცოურ ვალუტასთან ურთიერთობა. მაგალითად, თუ ამერიკულ კომპანიას ჰყავს სუბსიდიარი დიდ ბრიტანეთში, რომელიც მას უგზავნის ფუნტებს, ამერიკული კომპანია მიმართავს სავალუტო ბაზარს ფუნტის დოლარით შესაცვლელად. თუ ის ასესხებს ბრიტანულ კომპანიას დოლარს, მაშინ ამ უკანასკნელს უწევს სავალუტო ბაზრით სარგებლობა. როცა ის უხდის ძირითად თანხას და პროცენტს, ამ დროსაც უწევს მას ფუნტების დოლარებში გადაცვლა.

სპეკულაცია კომპანიები უცხოური ვალუტას ზოგჯერ სარგებლის მიღების მიზნით იყენებენ. ძირითადად ეს ეხება ზოგიერთ ბანკს და ჰეჯირებულ ფონდებს. მაგრამ ზოგჯერ, როცა კორპორაციის სახაზინო დეპარტამენტი ხედავს სავალუტო კურსის ცვლილებებს, კომპანია ინტერესს იჩენს ვალუტის ყიდვა-გაყიდვით სარგებლის მიღების მიზნით.

ინვესტორმა შეიძლება მიმართოს სავალუტო ტრანზაქციებს სპეკულაციისთვის ან რისკების თავიდან ასაცილებლად. სპეკულაცია არის საქონლის ყიდვა-გაყიდვა (ამ შემთხვევაში უცხოური ვალუტის), რომელსაც აქვს ორივე ელემენტი, როგორც რისკის ფაქტორი, ასევე დიდი მოგების შანსი. წარმოვიდგინოთ, რომ ერთ-ერთი ჰეჯირებული ფონდი ყიდულობს ევროს იმ მიზნით, რომ ის გამყარდება სხვა ვალუტებთან შედარებით. თუ ასე მოხდება ინვესტორი ნახავს სარგებელს, ან პირიქით, განიცდის დანაკარგს. სპეკულაცია მნიშვნელოვანია უცხოურ სავალუტო ბაზარზე, სადაც შეიმჩნევა სხვადასხვა ტენდენციები და მოვაჭრეები ცდილობენ უპირატესობებით სარგებლობას. მათ შეუძლიათ მოითხოვონ კონკრეტული ვალუტა ბაზარზე ან პირიქით, გაყიდონ ის. თუმცა სპეკულაცია ძალიან სარისკო საქმეა. უკანასკნელი წლების განმავლობაში ელექტრონული ვაჭრობის შექმნამ სავალუტო ბირჟებზე უამრავი დღის მოვაჭრის ყურადღება მიიპყრო. პრობლემა იმაშია, რომ სპეკულაცია ნაკლებშემოსვლიანია მათთვის.

არბიტრაჟი შესაძლო სარგებლის მომტანი ერთ-ერთი ქმედებაა არბიტრაჟი, რაც არის ერთი ვალუტის შეძენა ერთ ბაზარზე და მისი დაუყოვნებლივ გაყიდვა მეორეზე (სხვა ქვეყანაში) იმისათვის, რომ ვისარგებლოთ ფასის სხვაობით. მაგალითად, ამერიკული კომპანია ყიდულობს შვეიცარიის ფრანკს აშშ-ში, რომელსაც შემდეგ ყიდის შვეიცარიაში ბრიტანულ ფუნტზე, ბრიტანულ ფუნტით ისევ ყიდულობს დოლარს და მიზნად ისახავს, რომ საბოლოოდ მეტი დოლარი თავად მას დარჩეს.

აი, თუ როგორ შეიძლება წარიმართოს პროცესი. დავუშვათ დილერი 100 დოლარს ცვლის 150 შვეიცარიულ ფრანკზე 1.2 ფრანკი/1 დოლარი კურსის პირობებში. ამის შემდეგ დილერი ყიდის 150 ფრანკს 70 ბრიტანულ ფუნტად 0.467 ფუნტი/1 ფრანკი კურსით და საბოლოოდ

ამით ყიდულობს 125 დოლარს 0,56 ფუნტი/ 1 დოლარი სავალუტო კურსით. ამ შემთხვევაში არბიტრაჟი გამოვიდა \$125 დოლარი საწყისი \$100-ის ნაცვლად. გლობალური სავალუტო კურსების გამჭვირვალობის გამო, არბიტრაჟით დიდი მოგების ნახვა რთულია, მაგრამ შესაძლებელია ისეთი ინვესტორისთვის, ვისაც ძალიან ბევრი ფული აქვს და შეუძლია მისი სწრაფად გადაადგილება.

საპროცენტო არბიტრაჟი არის ინვესტიცია სავალო ვალდებულებით, მაგალითად გირაოები სხვა ქვეყნებში. დილერმა შეიძლება დააბანდოს \$1 000 შეერთებულ შტატებში 90 დღით, ან ის გადაცვალოს \$1 000 ბრიტანულ ფუნტებზე, ან დააბანდოს ფული გაერთიანებულ სამეფოში 90 დღით, შემდეგ შეცვალოს ფული ისევ დოლარებით, ინვესტორი ეცდება მოძებნოს ალტერნატივა ყველაზე მაღალი კურსით 90 დღის გასვლის შემდეგ.